# შპს „ფორმულა“

## ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

## 2024 წლის 31 დეკემბერი

# შპს „ფორმულა“
## სარჩევი


| | |
|---|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა | 3 |
| ფინანსური მდგომარების ანგარიშგება | 8 |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 9 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 10 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება | 11 |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 12 |
| დასკვნის ბოლო გვერდი | 45 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფორმულა“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ფორმულა“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ფორმულა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, რაც ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 1,341,852 ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურებით დაგვედასტურებინა წარდგენილი თანხების სიზუსტე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამ თანხებთან მიმართებაში. ასევე, მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების ინდივიდუალური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე, რაც ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 10,863,605 ლარის ღირებულებით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ასევე ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურებით დაგვედასტურებინა წარდგენილი თანხების სიზუსტე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამ თანხებთან მიმართებაში. ასევე, მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების ინდივიდუალური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში, "სხვა სესხები"-ს საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 133,145,108 ლარს. ჩვენ ვერ მივიღეთ დასტურის წერილები მესამე მხარეებისგან 12,536,091 ლარის ოდენობით სესხებზე. ჩვენ ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით აღნიშნული ნაშთების დადასტურება. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებების ასახვა ამ თანხებთან მიმართებაში ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის მოძრაობის და ფულადი სახსრების ინდივიდუალური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ „კომპანიისგან„ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 29-ე შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 154,730,233 ლარი 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება მის ფინანსურ აქტივებს. როგორც 29-ე შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

### სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:
შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია"-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით
გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი
22 ივლისი, 2025 წ.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია"-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი

22 ივლისი, 2025 წ.

შპს ფი ქეი ეფ ჯორჯია PKF 205198212 GEORGIA LLC

| | შენიშვნა | 31-დეკ-2024 | 31-დეკ-2023 გადაანგარიშებული | 01-იან-2023 გადაანგარიშებული |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | **5** | 3,451,253 | 6,014,274 | 8,581,372 |
| არამატერიალური აქტივები | **6** | 789,955 | 1,400,087 | 1,695,235 |
| სხვა აქტივები | | 34,983 | 15,631 | 14,476 |
| აქტივი გამოყენების უფლებით | **7** | 2,117,426 | 3,635,932 | 633,922 |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | **8** | 705,000 | 705,000 | 705,000 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **7,098,617** | **11,770,924** | **11,630,005** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | | |
| მარაგები | **9** | 134,297 | 32,891 | 25,011 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | **10** | 1,341,852 | 2,251,793 | 1,872,771 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | **11** | 2,092 | 7,748 | 1,085,151 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **1,478,241** | **2,292,432** | **2,982,933** |
| **სულ აქტივები** | | **8,576,858** | **14,063,356** | **14,612,938** |
| | | | | |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | | |
| **კაპიტალი** | | | | |
| დაგროვილი ზარალი | **12** | (154,730,233) | (125,911,735) | (83,591,570) |
| **სულ კაპიტალი** | | **(154,730,233)** | **(125,911,735)** | **(83,591,570)** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| სესხები | **13** | 147,780,720 | 128,765,362 | 93,658,833 |
| საიჯარო ვალდებულება | **14** | 1,511,028 | 2,919,494 | 448,625 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **149,291,748** | **131,684,856** | **94,107,458** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | |
| საიჯარო ვალდებულება | **14** | 1,012,067 | 1,000,832 | 249,486 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | **15** | 10,863,605 | 5,831,193 | 3,150,523 |
| საგადასახადო ვალდებულება | **16** | 2,139,671 | 1,458,210 | 697,041 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **14,015,343** | **8,290,235** | **4,097,050** |
| **სულ ვალდებულებები** | | **163,307,091** | **139,975,091** | **98,204,508** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **8,576,858** | **14,063,356** | **14,612,938** |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ივლისს:

დირექტორი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

შპს „ფორმულა“
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

| | შენიშვნა | 31-დეკ-2024 | 31-დეკ-2023 გადაანგარიშებული | 01-იან-2023 გადაანგარიშებული |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | **5** | 3,451,253 | 6,014,274 | 8,581,372 |
| არამატერიალური აქტივები | **6** | 789,955 | 1,400,087 | 1,695,235 |
| სხვა აქტივები | | 34,983 | 15,631 | 14,476 |
| აქტივი გამოყენების უფლებით | **7** | 2,117,426 | 3,635,932 | 633,922 |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | **8** | 705,000 | 705,000 | 705,000 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **7,098,617** | **11,770,924** | **11,630,005** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | | |
| მარაგები | **9** | 134,297 | 32,891 | 25,011 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | **10** | 1,341,852 | 2,251,793 | 1,872,771 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | **11** | 2,092 | 7,748 | 1,085,151 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **1,478,241** | **2,292,432** | **2,982,933** |
| **სულ აქტივები** | | **8,576,858** | **14,063,356** | **14,612,938** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | | |
| **კაპიტალი** | | | | |
| დაგროვილი ზარალი | **12** | (154,730,233) | (125,911,735) | (83,591,570) |
| **სულ კაპიტალი** | | **(154,730,233)** | **(125,911,735)** | **(83,591,570)** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| სესხები | **13** | 147,780,720 | 128,765,362 | 93,658,833 |
| საიჯარო ვალდებულება | **14** | 1,511,028 | 2,919,494 | 448,625 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **149,291,748** | **131,684,856** | **94,107,458** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | | |
| საიჯარო ვალდებულება | **14** | 1,012,067 | 1,000,832 | 249,486 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | **15** | 10,863,605 | 5,831,193 | 3,150,523 |
| საგადასახადო ვალდებულება | **16** | 2,139,671 | 1,458,210 | 697,041 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **14,015,343** | **8,290,235** | **4,097,050** |
| სულ ვალდებულებები | | 163,307,091 | 139,975,091 | **98,204,508** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **8,576,858** | **14,063,356** | **14,612,938** |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ივლისს:

დირექტორი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

| | შენიშვნა | 2024 | 2023 გადაანგარიშებული |
|---|---|---|---|
| **შემოსავალი** | | | |
| საოპერაციო შემოსავალი | 17 | 4,336,250 | 4,758,196 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 17 | 22,653 | 11,744 |
| **სულ შემოსავალი** | | **4,358,903** | **4,769,940** |
| ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი | | (4,248,350) | (4,816,901) |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი | | (17,524,168) | (23,696,371) |
| ეგზიტპოლების კვლევის ხარჯი | | (2,490,133) | (1,299,156) |
| მოკლევადიანი იჯარის ხარჯი | | (61,888) | (427,801) |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 18 | (4,085,455) | (7,480,216) |
| **საოპერაციო ზარალი** | | **(24,051,091)** | **(32,950,505)** |
| ფინანსური ხარჯი | 19 | (6,702,534) | (5,249,071) |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 20 | (708,702) | (78,616) |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 21 | 1,406,746 | 465,837 |
| მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან | 22 | 1,237,083 | (4,507,810) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **(28,818,498)** | **(42,320,165)** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **წლის ზარალი** | | **(28,818,498)** | **(42,320,165)** |
| | | | |
| **სხვა სრული შემოსავალი** | | | |
| წლის სხვა სრული შემოსავალი | | - | - |
| **სულ მთლიანი სრული შემოსავალი** | | **(28,818,498)** | **(42,320,165)** |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ივლისს:

დირექტორი:

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ფორმულა“

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

| | შენიშვნა | 2024 | 2023 გადაანგარიშებული |
|---|---|---|---|
| **შემოსავალი** | | | |
| საოპერაციო შემოსავალი | 17 | 4,336,250 | 4,758,196 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 17 | 22,653 | 11,744 |
| **სულ შემოსავალი** | | **4,358,903** | **4,769,940** |
| ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი | | (4,248,350) | (4,816,901) |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი | | (17,524,168) | (23,696,371) |
| ეგზიტპოლების კვლევის ხარჯი | | (2,490,133) | (1,299,156) |
| მოკლევადიანი იჯარის ხარჯი | | (61,888) | (427,801) |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 18 | (4,085,455) | (7,480,216) |
| **საოპერაციო ზარალი** | | **(24,051,091)** | **(32,950,505)** |
| ფინანსური ხარჯი | 19 | (6,702,534) | (5,249,071) |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 20 | (708,702) | (78,616) |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 21 | 1,406,746 | 465,837 |
| მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან | 22 | 1,237,083 | (4,507,810) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **(28,818,498)** | **(42,320,165)** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **წლის ზარალი** | | **(28,818,498)** | **(42,320,165)** |
| **სხვა სრული შემოსავალი** | | | |
| წლის სხვა სრული შემოსავალი | | - | - |
| **სულ მთლიანი სრული შემოსავალი** | | (28,818,498) | **(42,320,165)** |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ივლისს:

დირექტორი: ქ. მჭედლიძე

შპს ფორმულა * FORMULA LLC * 405345666

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

| | დაგროვილი ზარალი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|
| **ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(83,591,570)** | **(83,591,570)** |
| წლის ზარალი | (42,320,165) | (42,320,165) |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | **(42,320,165)** | **(42,320,165)** |
| **ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(125,911,735)** | **(125,911,735)** |
| წლის ზარალი | (28,818,498) | (28,818,498) |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | **(28,818,498)** | **(28,818,498)** |
| **ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(154,730,233)** | **(154,730,233)** |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ივლისს:

დირექტორი:

ფონდებში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ფორმულა“
**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

| | დაგროვილი ზარალი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|
| **ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(83,591,570)** | **(83,591,570)** |
| წლის ზარალი | (42,320,165) | (42,320,165) |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | **(42,320,165)** | **(42,320,165)** |
| **ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(125,911,735)** | **(125,911,735)** |
| წლის ზარალი | (28,818,498) | (28,818,498) |
| **მთლიანი სრული შემოსავალი** | **(28,818,498)** | **(28,818,498)** |
| **ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(154,730,233)** | **(154,730,233)** |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ივლისს:

დირექტორი:

ფონდებში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

**შპს „ფორმულა“**
**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მომხმარებლებისგან მიღებული თანხები | 3,867,051 | 4,179,296 |
| მომწოდებლებზე გადახდილი თანხები | (5,498,444) | (7,467,026) |
| დაქირავებით მომუშავეებზე გადახდილი თანხები | (9,884,175) | (16,650,605) |
| დაბრუნებული საოპ. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | - | 80 |
| გადახდილი სახელმწიფო და რეგულირების გადასახადები | (2,834,914) | (3,470,673) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | **(14,350,482)** | **(23,408,928)** |
| **ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| გადახდები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის | (20,320) | (2,567,112) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(20,320)** | **(2,567,112)** |
| **ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| შემოწირულობა | 693,000 | 370 |
| ნასესხები თანხების მიღება | 13,852,804 | 25,837,829 |
| ნასესხები თანხების დაბრუნება | (136,532) | - |
| **წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | **14,409,272** | **25,838,199** |
| ფულადი სახსრების გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი | (44,126) | (939,562) |
| **ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)** | **(5,656)** | **(1,077,403)** |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში | 7,748 | 1,085,151 |
| **ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს** | **2,092** | **7,748** |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ივლისს:

დირექტორი:

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-45 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ფორმულა“
**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მომხმარებლებისგან მიღებული თანხები | 3,867,051 | 4,179,296 |
| მომწოდებლებზე გადახდილი თანხები | (5,498,444) | (7,467,026) |
| დაქირავებით მომუშავეებზე გადახდილი თანხები | (9,884,175) | (16,650,605) |
| დაბრუნებული საოპ. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | - | 80 |
| გადახდილი სახელმწიფო და რეგულირების გადასახადები | (2,834,914) | (3,470,673) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან** | **(14,350,482)** | **(23,408,928)** |
| **ფულადი ნაკადების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| გადახდები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის | (20,320) | (2,567,112) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(20,320)** | **(2,567,112)** |
| **ფულადი ნაკადების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| შემოწირულობა | 693,000 | 370 |
| ნასესხები თანხების მიღება | 13,852,804 | 25,837,829 |
| ნასესხები თანხების დაბრუნება | (136,532) | - |
| **წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან** | **14,409,272** | **25,838,199** |
| ფულადი სახსრების გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგი | (44,126) | (939,562) |
| **ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)** | **(5,656)** | **(1,077,403)** |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში | 7,748 | 1,085,151 |
| **ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს** | **2,092** | **7,748** |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 22 ივლისს:

დირექტორი:

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-45 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

# 1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფორმულა“ ს/ნ 405345666 („კომპანია“) დაარსდა 2019 წლის 22 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N45

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები არიან:

| *მესაკუთრე* | *პროცენტული წილი* |
|---|---|
| მიხეილ მშვილდაძე, 01027007834 | 12.25% |
| ირაკლი საღინაძე, 01010009580 | 12.25% |
| ზურაბ გუმბარიძე, 01024037522 | 12.25% |
| გიორგი ლიფონავა, 01010000641 | 12.25% |
| დავით კეზერაშვილი, 01015000210 | 26.00% |
| არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისუფლების ფორმულა, 402279985 | 25.00% |

კომპანიის ერთპიროვნული დირექტორია ზურაბ გუმბარიძე (პ/ნ 01024037522).

კომპანიამ მოიპოვა მაუწყებლობის ავტორიზაცია #RB-5067 2019 წლის 29 აგვისტოს, რის საფუძველზეც ფუნქციონირებს საქართველოს ტელესამაუწყებლო სფეროში. კომპანიამ საცდელ რეჟიმში დაიწყო მაუწყებლობა 2019 წლის 1 ოქტომბერს, ხოლო 2020 წლის 9 მარტიდან გადავიდა ჩვეულ მაუწყებლობის რეჟიმში.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, გასართობი, იუმორისტული, მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, ინტელექტუალური, დოკუმენტური და სხვა ტიპისა და სარედაქციო დასაბუთების გადაცემების მომზადებას და სატელევიზიო ეთერით გადაცემას.

დასაქმებულთა რაოდენობა 2024 წლისთვის იყო 328 თანამშრომელი.

შპს „ფორმულა“ ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს „ფორმულა პროესკო ფროდაქშენი“ (ს/ნ 404892513) – 100%
- შპს „ინტერმედია“ (ს/ნ 405380252) – 100%
- შპს „ფორმულას მედიისა და კომუნიკაციების სკოლა“ – 51%

**საოპერაციო გარემო**

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

# 2 მომზადების საფუძველი

## 2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

## 2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

## 2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან. დამატებით იხილეთ შენიშვნა 29.

## 2.4 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

## 2.5 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 4.1-ე შენიშვნაში. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო

ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

## 2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

**ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება**

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ მიუღია სხვა არცერთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომლებიც გამოცემულია მაგრამ არ არის ეფექტური რეპორტინგ პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმბები.

**სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

### 3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

| | 31 დეკ 2024 | 31 დეკ 2023 |
|---|---|---|
| 1 დალარი/ლარი | 2.8068 | 2.6894 |
| 1 ევრო/ლარი | 2.9306 | 2.9753 |

### 3.2 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კოპმპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

2024 საანგარიშო წლის განმავლობაში, კომპანიის ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს სატელევიზიო რეკლამებიდან მიღებული შემოსავლები.

## 3.3 იჯარა

*კომპანია, როგორც მოიჯარე*

კომპანიას იჯარით აღებული აქვს კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება. საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებულია 2027 წლის 31 დეკემბრის და 2030 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. იჯარის ხელშეკრულებების ნაწილი დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

*მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება*

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა  მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

## 3.4 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის  მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად  იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებზში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

## 3.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## 3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას და მშენებარე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს:

| ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|---|---|
| მანქანა დანადგარები | 6 |
| ოფისის აღჭურვილობა | 4 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 4 |
| ხელსაწყოები | 2 |

## 3.7 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით.

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს არამატერიალური აქტივების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს:

| ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|---|---|
| ლიცენზიები | 1-3 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 1-10 |

## 3.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## 3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

### *ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

### *ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება*

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

### *ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება*
### *ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება*

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს.

### *ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებეს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL)“. ახალ განსაღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვს), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

### *სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

***ფინასური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება***

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს.

***სავაჭრო და სხვა ვალდებულებები***

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

***ფინანსური იჯარის ვალდებულებები***

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

## 3.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

## 3.11 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

## 3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტინის ანაზღაურებებს;

# 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

## 4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

### ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

### გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

### დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

# 5 ძირითადი საშუალებები

| საბალანსო ღირებულება | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვ-ილობა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სატრანს. საშუალებ. | იჯარით აღებ. ქონების კეთილმოწ. | ხელსა წყოები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **01/01/2023-სთვის** | **10,987,316** | **1,078,086** | **950,691** | **60,179** | **3,719,422** | **66,490** | **16,862,184** |
| შეძენა | 413,273 | 78,654 | 83,838 | | 118,943 | 28,827 | 723,535 |
| ჩამოწერა | (363) | (12,466) | (11,109) | | (441) | (6,780) | (31,159) |
| **31/12/2023-სთვის** | **11,400,226** | **1,144,274** | **1,023,420** | **60,179** | **3,837,924** | **88,537** | **17,554,560** |
| შეძენა | 17,664 | 11,149 | 152,996 | - | - | 813 | 182,622 |
| ჩამოწერა | - | (26,521) | - | (21,958) | - | (6,551) | (55,030) |
| **31/12/2024-სთვის** | **11,417,890** | **1,128,902** | **1,176,416** | **38,221** | **3,837,924** | **82,799** | **17,682,152** |
| | | | | | | | |
| **01/01/2023-სთვის** | **(4,840,902)** | **(598,094)** | **(416,740)** | **(15,924)** | **(2,367,957)** | **(41,194)** | **(8,280,811)** |
| წლის ცვეთის დარიცხვა | (1,867,746) | (253,381) | (193,740) | (12,036) | (911,301) | (25,850) | (3,264,054) |
| ცვეთის ელიმინაცია | - | 4,579 | | - | - | - | 4,579 |
| **31/12/2023-სთვის** | **(6,708,648)** | **(846,896)** | **(610,480)** | **(27,960)** | **(3,279,258)** | **(67,044)** | **(11,540,286)** |
| წლის ცვეთის დარიცხვა | (1,921,557) | (173,253) | (224,544) | (7,644) | (372,076) | (13,804) | (2,712,878) |
| ცვეთის ელიმინაცია | - | 11,068 | - | 8,879 | - | 2,318 | 22,265 |
| **31/12/2024-სთვის** | **(8,630,205)** | **(1,009,081)** | **(835,024)** | **(26,725)** | **(3,651,334)** | **(78,530)** | **(14,230,899)** |
| | | | | | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **4,691,578** | **297,378** | **412,940** | **32,219** | **558,666** | **21,493** | **6,014,274** |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **2,787,685** | **119,821** | **341,392** | **11,496** | **186,590** | **4,269** | **3,451,253** |

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

# 6 არამატერიალური აქტივები

| საბალანსო ღირებულება | ლიცენზიები | სხვა არამატერიალური აქტივები | სულ |
|---|---|---|---|
| **31/12/2022-სთვის** | **3,296,569** | **1,935,785** | **5,232,354** |
| შეძენა | 549,849 | 78,435 | 628,284 |
| გასვლა | - | - | - |
| **31/12/2023-სთვის** | **3,846,419** | **2,014,220** | **5,860,639** |
| შეძენა | - | 47,964 | 47,964 |
| გასვლა | - | - | - |
| **31/12/2024-სთვის** | **3,846,419** | **2,062,184** | **5,908,603** |
| | - | - | - |
| **31/12/2022-სთვის** | **(2,789,132)** | **(747,987)** | **(3,537,119)** |
| წლის ცვეთა | (584,273) | (339,159) | (923,432) |
| გასვლა | | | |
| **31/12/2023-სთვის** | **(3,373,406)** | **(1,087,146)** | **(4,460,552)** |
| წლის ცვეთა | (306,357) | (351,739) | (658,096) |
| გასვლა | - | - | - |
| **31/12/2024-სთვის** | **(3,679,763)** | **(1,438,885)** | **(5,118,648)** |
| | | | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **473,013** | **927,074** | **1,400,087** |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **166,656** | **623,299** | **789,955** |

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## 7 აქტივი გამოყენების უფლებით

| | აქტივი გამოყენების უფლებით | სულ |
|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | |
| **2023 წლის 1 იანვარი** | **1,057,444** | **1,057,444** |
| შემოსვლა | 3,682,959 | 3,682,959 |
| გასვლა | (51,535) | (51,535) |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **4,688,868** | **4,688,868** |
| შემოსვლა | - | - |
| გასვლა | (1,392,797) | (1,392,797) |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **3,296,071** | **3,296,071** |
| | | |
| *დაგროვილი ცვეთა* | | |
| **2023 წლის 1 იანვარი** | **(423,521)** | **(423,521)** |
| წლის ცვეთა | (629,415) | (629,415) |
| გასვლა | - | - |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **(1,052,936)** | **(1,052,936)** |
| წლის ცვეთა | **(877,376)** | (877,376) |
| გასვლა | **751,667** | 751,667 |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **(1,178,645)** | **(1,178,645)** |
| | | |
| *საბალანსო ღირებულება* | | |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **3,635,932** | **3,635,932** |
| **2024 წლის 31 დეკემბერი** | **2,117,426** | **2,117,426** |

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## 8 გრძელვადიანი ინვესტიციები

| | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---|---|---|
| მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში | 705,000 | 705,000 |
| **სულ გრძელვადიანი ინვესტიციები** | **705,000** | **705,000** |

შპს „ფორმულა“ ფლობს 100%-იან წილს შპს „ფორმულა პროესკო ფროდაქშენ“-ში (ს/ნ 404892513).

## 9 მარაგები

| | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---|---|---|
| ბინა (27.2 კვ.მ.) | 100,912 | - |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 33,385 | 32,891 |
| **სულ მარაგები** | **134,297** | **32,891** |

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

## 10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 757,242 | 1,058,031 |
| მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან | 481,882 | 682,905 |
| საეჭვო მოთხოვნების კორექტირება | 102,728 | 510,660 |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | - | 198 |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | **1,341,852** | **2,251,793** |

- მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.
- სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.
- სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24-ში.

## 11 ფული და ფული ექვივალენტები

| ფული და ფულის ექვივალენტები | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 15 | 14 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენ ბანკში | - | 5,837 |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | - | 744 |
| უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში | 2,077 | 1,153 |
| **სულ ფული და ფულის ექვივალენტები** | **2,092** | **7,748** |

ფული და ფული ექვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24-ში

## 12 კაპიტალი

შპს „ფორმულა“-ს დამფუძნებლებს საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განუხორციელებიათ. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 42,320,165 ლარის წმინდა ზარალი, ხოლო 2024 წლის განმავლობაში 28,818,498 ლარი. შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის დაგროვილმა ზარალმა შეადგინა 154,730,233 ლარი.

## 13 სესხები

| | მიმდინარე | | გრძელვადიანი | |
|---|---|---|---|---|
| | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
| დაკავშირებული მხარეებისგან | - | - | (14,635,612) | (1,959,663) |
| სხვა სესხები | | | (133,145,108) | (126,436,821) |
| | **-** | **-** | **(147,780,720)** | **(128,396,484)** |

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დაფარვის ვადა არის 2027 წელი, ხოლო ამ სესხებთან დაკავშირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6,5%-ს.

| | გრძელვადიანი სესხები | სულ |
|---|---|---|
| **31/12/2023** | **128,765,362** | **128,765,362** |
| <u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u> | - | - |
| სესხის აღება | 14,492,827 | 14,492,827 |
| სესხის დაფარვა | - | - |
| სესხის დაბრუნება | (505,411) | (505,411) |
| გადახდილი პროცენტი | - | - |
| <u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u> | | |
| დარიცხული პროცენტი | 6,416,206 | 6,416,206 |
| მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან | (1,388,264) | (1,388,264) |
| **31/12/2024** | **147,780,720** | **147,780,720** |

სესხების დაფარვის ვადა არის 2027 წელი, ხოლო ამ სესხებთან დაკავშირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5%-ს.

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დაფარვის ვადა არის 2027 წელი, ხოლო ამ სესხებთან დაკავშირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6,5%-ს.

სესხები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24-ში

## 14 საიჯარო ვალდებულება

| | მიმდინარე | გრძელვადიანი | სულ |
|---|---|---|---|
| **01/01/2023** | **249,486** | **448,625** | **698,111** |
| იჯარის დამატება | 300,106 | 3,382,853 | 3,682,959 |
| პროცენტის დარიცხვა | 247,677 | - | 247,677 |
| ვალდებულების გადახდა | (549,591) | - | (549,591) |
| პროცენტის დაფარვა | (247,677) | - | (247,677) |
| სავალუტო კურსის ეფექტი | 140,382 | - | 140,383 |
| გადატანა | 860,449 | (860,449) | - |
| სხვა კორექტირება | - | - | - |
| მოდიფიკაციის ეფექტი | - | (51,535) | (51,535) |
| **31/12/2023** | **1,000,832** | **2,919,494** | **3,920,326** |
| იჯარის დამატება | - | - | - |
| პროცენტის დარიცხვა | 286,329 | - | 286,329 |
| ვალდებულების გადახდა | (860,449) | - | (860,449) |
| პროცენტის დაფარვა | (286,329) | - | (286,329) |
| სავალუტო კურსის ეფექტი | 104,348 | - | 104,348 |
| გადატანა | 767,336 | (767,336) | - |
| მოდიფიკაციის ეფექტი | - | (641,130) | (641,130) |
| სხვა კორექტირება | - | - | - |
| **31/12/2024** | **1,012,067** | **1,511,028** | **2,523,095** |

კომპანიას იჯარით აღებული აქვს კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება. საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებულია 2027 წლის 31 დეკემბრის და 2030 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. იჯარის ხელშეკრულებების ნაწილი დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნული იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში. აქტივების გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია განცალკევებულად (შენიშვნა 7).

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობების ბუნებას, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით:

| აქტივის გამოყენე-ბის უფლება | იჯარით აღებული აქტივე-ბის რაო-დენობა | დარჩენი-ლი ვადის დიაპაზონ ი | საშუალო დარჩენი-ლი იჯარს ვადა | იჯარების რაოდენო-ბა ვადის გაგრძე-ლების უფლებით | იჯარების რაოდენო-ბა ინდექ-სზე მიბმუ-ლი ცვლა-დი გადახ-დებით | იჯარების რაოდენო-ბა ინდექ-სზე მიბმუ-ლი ცვლა-დი გადახ-დებით | იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კომერციუ ლი ფართი | 9 | 0-72 თვე | 12 თვე | - | - | - | - |

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | მინიმალური საიჯარო გადასახადები | |
|---|---|---|
| | **2024 წლის 31 დეკემბერი** | **2023 წლის 31 დეკემბერი** |
| *ერთი წლამდე* | | |
| *გადახდები* | 909,054 | 1,146,778 |
| *ფინანსური ხარჯი* | (198,511) | (286,329) |
| | **710,543** | **860,449** |
| *1-5 წლამდე* | | |
| *გადახდები* | 1,975,298 | 2,884,352 |
| *ფინანსური ხარჯი* | (219,540) | (418,050) |
| | **1,755,759** | **2,466,302** |
| *5 წლის შემდეგ* | | |
| *გადახდები* | - | - |
| *ფინანსური ხარჯი* | - | - |
| | - | - |
| *წმინდა მიმდინარე ღირებულება* | **2,466,302** | **3,326,751** |

## 15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---|---|---|
| მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები | 2,813,500 | 2,049,896 |
| მიღებული ავანსები | 48,868 | 54,665 |
| ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან | 685,853 | 160,582 |
| სხვა ვალდებულებები და კრედიტორები | 2,354,274 | 1,815,163 |
| გადასახდელი ხელფასები | 4,961,110 | 1,750,887 |
| **სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები** | **10,863,605** | **5,831,193** |

სავაჭრო ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 24-ში.

## 16 საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,139,671 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,458,210 ლარს. საგადასახადო ვალდებულებების ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასახდელ საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებას.

## 17 შემოსავლები

| | 31/12/2024 | 31/12/2023 |
|---|---|---|
| შემოსავალი რეკლამიდან | 4,336,250 | 4,758,196 |
| სხვა შემოსავლები | 22,653 | 11,744 |
| **სულ საოპერაციო შემოსავალი** | **4,358,903** | **4,769,940** |

2024 საანგარიშო წლის განმავლობაში, კომპანიის ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს სატელევიზიო რეკლამებიდან მიღებული შემოსავლები.

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში.

## 18 სხვა საოპერაციო ხარჯი

| საოპერაციო ხარჯი | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| მასალები და მცირეფასიანი ნივთები | 1,016,333 | 1,216,886 |
| ადგილობრივი გადაცემების ხარჯი | 499,636 | 2,474,486 |
| მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი | 392,220 | 541,747 |
| ტრანსლაციის ხარჯი | 388,265 | 403,754 |
| კომუნალური ხარჯი | 288,157 | 342,394 |
| რეიტინგების დათვლა | 273,778 | 225,257 |
| საინფორმაციო მომსახურება | 221,298 | 296,044 |
| საწვავის ხარჯი | 218,263 | 294,479 |
| საკომუნიკაციო ხარჯი | 183,965 | 171,569 |
| ვებგვერდის მომსახურეობის ხარჯი | 95,572 | 107,368 |
| ტექნიკური მომსახურება | 79,029 | 398,010 |
| მივლინების ხარჯი | 64,488 | 350,668 |
| სამეურნეო ხარჯი | 73,700 | 79,465 |
| დაზღვევის ხარჯი | 36,883 | 51,433 |
| კომპიუტერული ხარჯი | 36,354 | 65,762 |
| ქონების გადასახადი | 41,781 | 62,700 |
| საკონსულტაციო ხარჯი | 17,867 | 136,022 |
| საავტორო უფლებების ხარჯი | 13,289 | 85 |
| ავტომობილის მომსახურეობის ხარჯი | 11,653 | 6,821 |
| ფილმების და სერიალების გახმოვანება | 8,059 | 86,110 |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 124,865 | 169,156 |
| **სულ საოპერაციო ხარჯი** | **4,085,455** | **7,480,216** |

## 19 ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი მოიცავს პროცენტის და იჯარის ხარჯს. 2024 წლის ფინანსური ხარჯი შეადგენს 6,702,534 ლარს, საიდანაც პროცენტის ხარჯი შეადგენს 6,416,205 ლარს, ხოლო იჯარის ხარჯი 286,329 ლარს. 2023 წლის განმავლობაში ფინანსური ხარჯი შეადგენს 5,249,071 ლარს, საიდანაც პროცენტის ხარჯი შეადგენს 5,001,394 ლარს, ხოლო იჯარის ხარჯი 247,677 ლარს.

## 20 სხვა არასაოპერაციო ხარჯი

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| ბინის გაყიდვა | (193,991) | - |
| ანარიცხები | (486,914) | - |
| ძირითადი საშუალების რეალიზაცია | (25,494) | (11,700) |
| სხვა ხარჯი | (2,303) | (66,916) |
| **სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი** | **(708,702)** | **(78,616)** |

## 21 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| შემოწირულობები | 693,000 | 400,955 |
| ლიზინგის გასხვისების შემოსავალი | 240,596 | - |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 473,150 | 64,882 |
| **სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი** | **1,406,746** | **465,837** |

## 22 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

| | 2024 | 2023 |
|---|---|---|
| საკურსო ზარალი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე | (3,101,777) | (28,927,530) |
| საკურსო ზარალი მიღებულ სესხებზე | (159,459) | (3,424,307) |
| საკურსო ზარალი ფინანსური იჯარიდან | (104,348) | (140,383) |
| სხვა საკურსო ზარალი | (29,278) | (1,742) |
| საკურსო მოგება ფულსა და ფულის ექვივალენტებზე | 3,057,651 | 27,947,185 |
| საკურსო მოგება მიღებულ სესხებზე | 1,549,086 | 36,490 |
| სხვა საკურსო მოგება | 25,208 | 2,477 |
| **სულ მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან** | **1,237,083** | **(4,507,810)** |

# 23 ფინანსური ინტრუმენტები

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოდ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

ფინანსური აქტივების სამართლიანი და საბალანსო ღირებულება:

| | 2024 წლის 31 დეკემბერი | | 2023 წლის 31 დეკემბერი | |
|---|---|---|---|---|
| | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1,341,852 | 1,341,852 | 2,251,793 | 2,251,793 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 2,092 | 2,092 | 7,748 | 7,748 |

ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულება:

| | 2024 წლის 31 დეკემბერი | | 2023 წლის 31 დეკემბერი | |
|---|---|---|---|---|
| | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 10,863,605 | 10,863,605 | 5,831,193 | 5,831,193 |
| მიღებული სესხები | 147,780,720 | 147,780,720 | 128,765,362 | 128,765,362 |

# 24 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

### *ფინანსური რისკის ფაქტორები*

## 24.1 საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებებთან მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

## 24.2 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| 2024 წლის 31 დეკემბერი | აშშ დოლარი | ევრო | ლარი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | - |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | - | - | 1,341,852 | **1,341,852** |
| ფული და ფულის ექვივალენტები | - | 2,077 | 15 | **2,092** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **-** | **2,077** | **1,341,867** | **1,343,944** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | (159,814) | (21,088) | (10,682,704) | **(10,863,606)** |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | (2,281,206) | - | (241,888) | **(2,523,094)** |
| საგადასახადო ვალდებულება | - | - | (2,139,671) | **(2,139,671)** |
| მიღებული სესხები | (9,991,719) | (137,789,001) | - | **(147,780,720)** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **(12,432,739)** | **(137,810,089)** | **(13,064,263)** | **(163,307,091)** |

| 2023 წლის 31 დეკემბერი | აშშ დოლარი | ევრო | ლარი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | - |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | - | - | 2,251,793 | **2,251,793** |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 744 | 1,153 | 5,851 | **7,748** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **744** | **1,153** | **2,257,644** | **2,259,541** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | (55,175) | (20,368) | (5,755,650) | **(5,831,193)** |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | (3,471,701) | - | (448,625) | **(3,920,326)** |
| საგადასახად ვალდებულება | - | - | (1,458,210) | **(1,458,210)** |
| მიღებული სესხები | (368,878) | (128,396,484) | - | **(128,765,362)** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **(3,895,754)** | **(128,416,852)** | **(7,662,485)** | **(139,975,091)** |

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო ან გაუფასურებულიყო დოლართან მიმართებაში 15%-ით მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

| | აშშ დოლარის გავლენა | | ევროს გავლენა | |
|---|---|---|---|---|
| მოგება ზარალი | 2024 | 2023 | 2024 | 2023 |
| ლარის გამყარება | 1,864,911 | 584,363 | 20,671,513 | 19,262,528 |
| ლარის დევალვაცია | (1,864,911) | (584,363) | (20,671,513) | (19,262,528) |

## 24.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

**2024 წლის 31 დეკემბერი**

| ფინანსური აქტივები | 1 წლამდე | 1-5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1,341,852 | - | - | **1,341,852** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 2,092 | - | - | **2,092** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **1,343,944** | **-** | **-** | **1,343,944** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | (10,863,605) | - | - | **(10,863,605)** |
| საგადასახადო ვალდებულება | (2,139,671) | - | - | **(2,139,671)** |
| საიჯარო ვალდებულება | (1,012,067) | (1,511,028) | - | **(2,523,095)** |
| მიღებული სესხები | - | (147,780,720) | - | **(147,780,720)** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **(14,015,343)** | **(149,291,748)** | - | **(163,307,091)** |
| **წმინდა პოზიცია** | **(12,671,399)** | **(149,291,748)** | - | **(161,963,147)** |

**2023 წლის 31 დეკემბერი**

| **ფინანსური აქტივები** | **1 წლამდე** | **1-5 წლამდე** | **5 წელზე მეტი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2,251,793 | - | - | **2,251,793** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 7,748 | - | - | **7,748** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **2,259,541** | - | - | **2,259,541** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | (5,831,193) | - | - | **(5,831,193)** |
| საგადასახადო ვალდებულება | (1,458,210) | - | - | **(1,458,210)** |
| საიჯარო ვალდებულება | (1,000,832) | (2,919,494) | - | **(3,920,326)** |
| მიღებული სესხები | - | (128,765,362) | - | **(128,765,362)** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **(8,290,235)** | **(131,684,856)** | **-** | **(139,975,091)** |
| **წმინდა პოზიცია** | **(6,030,694)** | **(131,684,856)** | **-** | **(137,715,550)** |

2024 და 2023 საანგარიშგებო წლების განმავლობაში, ფინანსური ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება ფინანსურ აქტივებს. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანია არ დადგება ლიკვიდურობის რისკის წინაშე. დამატებით იხილეთ შენიშვნა 29.

### 24.4 კაპიტალის რისკის მართვა

2024 და 2023 საანგარიშგებო წლების განმავლობაში კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება დაგროვილი ზარალისგან და მოზიდული სახსრებისგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სესხებს.

კომპანიას სურვილი აქვს ისე მართოს კაპიტალი, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით. დამატებით იხილეთ შენიშვნა 29.

## 25 გაუთვალისწინებელი გარემოებები

### 25.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

# 26 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

a. მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
b. პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
c. ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
d. კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
e. ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
f. მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
g. დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომელებისათვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

## 26.1 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

| **მიღებული სესხები** | **12/31/2024** | **12/31/2023** |
|---|---|---|
| Infinity CV GroupCY LTD | (4,643,893) | (1,959,663) |
| შპს ფორმულა მულტიმედია | (9,991,719) | - |
| **სულ მიღებული სესხები** | **(14,635,612)** | **(1,959,663)** |

დაკავშირებული მხარეების მიღებული სესხები იხლეთ შენიშვნა 12-ში

| **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან** | **12/31/2024** | **12/31/2023** |
|---|---|---|
| შპს ფორმულა მულტიმედია | 17,000 | 5,000 |
| შპს ფორმულა პროესკო ფროდაქშენი | 353,539 | 349,539 |
| შპს ფორმულას მედიისა და კომუნიკაციების სკოლა | 65,852 | 65,852 |
| შპს ინტერმედია | 30,671 | 247,694 |
| შპს ინტერ მედია | 14,820 | 14,820 |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან** | **481,882** | **682,905** |

დაკავშირებული მხარეების სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იხილეთ შენიშვნა 10-ში

| **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან** | **12/31/2024** | **12/31/2023** |
|---|---|---|
| შპს ფორმულა მულტიმედია | (685,853) | (160,582) |
| **სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან** | **(685,853)** | **(160,582)** |

დაკავშირებული მხარეების სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იხილეთ შენიშვნა 10-ში

## 26.2 ოპერაციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში

| | **2024** | **2023** |
|---|---|---|
| ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ანაზღაურება | 666,809 | 1,208,932 |
| **სულ:** | **666,809** | **1,208,932** |

# 27 პირობითი ვალდებულებები

## იურიდიული საკითხები

2020 წლის 16 მაისიდან 2021 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, პირველმა ინსტანციის სასამართლომ შპს „ფორმულას“ დააკისრა განაცდურის ანაზღაურება გიორგი ცუცქირიძის მიმართ, ხელშეკრულების მოქმედების ვადით, თვეში 2,500 ლარის (გადასახადების ჩათვლით) ოდენობით, ჯამში 26,250 ლარის გადახდით. აღნიშნულ საქმეზე მეორე ინსტანციამ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებულია გიორგი ცუცქირიძის მიერ საკასაციო წესით.

2022 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ფორმულამ“ შეწყვიტა ეკა სესიკაშვილთან შრომითი ხელშეკრულება, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო. სასამართლომ კომპანიას დააკისრა კომპენსაციის სახით 3,000 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2022 წლის 18 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის, თვეში 2,500 ლარის (გადასახადების ჩათვლით) ოდენობით. მეორე ინსტანციამ დაადგინა, რომ 2022 წლის 18 ივლისიდან 2024 წლის მარტის ჩათვლით განაცდური ანაზღაურდეს იგივე ოდენობით, ხოლო 2024 წლის აპრილიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე – თვეში 625 ლარით (გადასახადების ჩათვლით). კომპენსაციის 3,000 ლარის გადახდის ვალდებულება დარჩა ძალაში.

პირველმა ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო შპს „ფორმულას“ 2023 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება გიორგი ჯიბღაშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. სასამართლომ კომპანიას დააკისრა 6,000 ლარის (ხელზე ასაღები) კომპენსაცია და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება თვეში 3,500 ლარის (დასაბეგრი) ოდენობით 2023 წლის თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდში. მეორე ინსტანციის სასამართლომ განაცდურის ანაზღაურების პერიოდი შემოფარგლა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით – 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით. გიორგი ჯიბღაშვილმა გასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოში იძულებითი განაცდურის ოდენობისა და დისკრიმინაციის ნაწილში. სხდომა ამ დრომდე არ დანიშნულა.

## 28 გადაანგარიშების ეფექტი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| 31/12/2023 | გადაანგარიშე-ბამდე | რეკლასიფი-კაცია | გადაანგარიშე-ბული |
|---|---|---|---|
| აქტივი გამოყენების უფლებით | 75,526 | 3,560,406 | 3,635,932 |
| დაგროვილი ზარალი | 125,629,509 | 282,226 | 125,911,735 |
| გრძელ. ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე | (40,468) | (2,879,026) | (2,919,494) |
| მოკლ. ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე | - | (1,000,832) | (1,000,832) |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | (4,080,306) | (1,750,887) | (5,831,193) |
| გადასახდელი ხელფასები | (1,750,887) | 1,750,887 | - |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | (37,228) | 37,228 | - |
| **სულ** | **119,796,146** | **-** | **119,796,148** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| 31/12/2022 | გადაანგარიშე-ბამდე | რეკლასიფი-კაცია | გადაანგარიშე-ბული |
|---|---|---|---|
| აქტივი გამოყენების უფლებით | 673,842 | (39,920) | 633,922 |
| დაგროვილი ზარალი | 83,510,204 | 81,366 | 83,591,570 |
| გრძელ. ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე | (78,060) | (370,565) | (448,625) |
| მოკლ. ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე | - | (249,486) | (249,486) |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | (3,130,977) | (19,546) | (3,150,523) |
| გადასახდელი ხელფასები | (19,546) | 19,546 | - |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | (578,606) | 578,606 | - |
| **სულ** | **80,376,857** | **(0)** | **80,376,859** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| | სხვა საოპერაციო ხარჯი | | |
|---|---|---|---|
| **2023** | **გადაანგარიშე-ბამდე** | **რეკლასიფი-კაცია** | **გადაანგარიშე-ბული** |
| მასალები და მცირეფასიანი ნივთები | (1,216,886) | 1,216,886 | - |
| სხვა ხარჯები | (36,817) | 36,817 | - |
| მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი | (541,747) | 541,747 | - |
| საკომუნიკაციო ხარჯი | (195,024) | 195,024 | - |
| ტრანსლაციის ხარჯი | (403,754) | 403,754 | - |
| ადგილობრივი გადაცემების ხარჯი | (2,474,486) | 2,474,486 | - |
| ავტომობილების და საწვავის ხარჯები | (311,060) | 311,060 | - |
| თარგმნის და გახმოვანების ხარჯი | (117,480) | 117,480 | - |
| დომეინი, ვებ-გვერდი, ჰოსტინგი და სხვ. | (481,095) | 481,095 | - |
| დაქირ. მომუშავე პირთა ანაზღაურება | (51,433) | 51,433 | - |
| საინფორმაციო სააგენტოების ხარჯი | (296,044) | 296,044 | - |
| სატელევიზიო რეიტინგის დათვლის მომსახურება | (225,257) | 225,257 | - |
| ტრანსპორტირება და გზავნილები | (15,282) | 15,282 | - |
| სამეურნეო ხარჯი | (86,501) | 86,501 | - |
| ოფისის ხარჯები | (65,762) | 65,762 | - |
| ფილმების შერჩევა | (136,022) | 136,022 | - |
| გადასახადების ხარჯები | (62,700) | 62,700 | - |
| ბანკის საკომისიო | (6,442) | 6,442 | - |
| საკანცელარიო ხარჯი | (8,647) | 8,647 | - |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | (38,746) | 38,746 | - |
| მივლინების ხარჯი | (350,668) | 350,668 | - |
| სხვა პროფესიული მომსახურება | (15,969) | 15,969 | - |
| კომუნალური ხარჯები | (342,394) | 342,394 | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | - | (7,480,216) | (7,480,216) |
| **სულ** | **(7,480,216)** | **-** | **(7,480,216)** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| | შრომის ანაზღაურება | | |
|---|---|---|---|
| **2023** | **გადაანგარიშე-ბამდე** | **რეკლასიფი-კაცია** | **გადაანგარიშე-ბული** |
| დაქირავებით მომუშავე პირთა ანაზღაურება | (20,193,953) | 20,193,953 | - |
| სხვა პროფესიული მომსახურება | (717,805) | 717,805 | - |
| ადგილობრივი გადაცემების ხარჯი | (1,373,758) | 1,373,758 | - |
| ადგილობრივი ტელესერიალების ხარჯი | (1,410,855) | 1,410,855 | - |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი | - | (23,696,371) | (23,696,371) |
| **სულ** | **(23,696,371)** | **-** | **(23,696,371)** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| | სხვა არასაოპერაციო ხარჯი | | |
|---|---|---|---|
| **2023** | **გადაანგარიშე-ბამდე** | **რეკლასიფი-კაცია** | **გადაანგარიშე-ბული** |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებ. | (4,147) | 4,147 | - |
| სხვა ხარჯები | (59,629) | 59,629 | - |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (14,840) | 14,840 | - |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | - | (78,616) | (78,616) |
| **სულ** | **(78,616)** | **-** | **(78,616)** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| | ფინანსური ხარჯი | | |
|---|---|---|---|
| **2023** | **გადაანგარიშე-ბამდე** | **რეკლასიფი-კაცია** | **გადაანგარიშე-ბული** |
| ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) | (9,289,208) | 9,289,208 | - |
| იჯარის ხარჯი | (79,613) | 79,613 | - |
| ფინანსური ხარჯი | - | (5,249,071) | (5,249,071) |
| მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან | - | (4,507,810) | (4,507,810) |
| **სულ** | **(9,368,821)** | **(388,060)** | **(9,756,881)** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| | მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან | | |
|---|---|---|---|
| **2023** | **გადაანგარიშე-ბამდე** | **რეკლასიფი-კაცია** | **გადაანგარიშე-ბული** |
| მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან | - | (4,315,892) | (4,315,892) |
| **სულ** | **-** | **(4,315,892)** | **(4,315,892)** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| | ცვეთა და ამორტიზაცია | | |
|---|---|---|---|
| **2023** | **გადაანგარიშე-ბამდე** | **რეკლასიფი-კაცია** | **გადაანგარიშე-ბული** |
| ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი | (3,264,055) | 3,264,055 | - |
| არამატ. აქტივების ამორტიზაციის ხარჯი | (923,432) | 923,432 | - |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (4,187,487) | (4,187,487) |
| **სულ** | **(4,187,487)** | **-** | **(4,187,487)** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს რეკლასიფიკაციებს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

| | ფინანსური იჯარის | | |
|---|---|---|---|
| **2023** | **გადაანგარიშე-ბამდე** | **რეკლასიფი-კაცია** | **გადაანგარიშე-ბული** |
| იჯარის ხარჯი | (1,225,069) | (1,225,069) | (2,450,137) |
| საიჯარო ქირის ხარჯი | - | (427,801) | (427,801) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (4,187,487) | (629,415) | (4,816,901) |
| **სულ** | **(5,412,555)** | **(2,282,284)** | **(7,694,839)** |

## 29 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში, არ აქვთ განზრახვა მოახდინონ კომპანიის ლიკვიდაცია ან მნიშვნელოვნად შეზღუდონ კომპანიის საქმიანობის მასშტაბები.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 154,730,233 ლარი. ამასთანავე ფინანსური ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება ფინანსურ აქტივებს. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანია არ დადგება ლიკვიდურობის რისკის წინაშე, იმ შემთხვევაში თუ კომპანიას შეექმნება ფინანსური სირთულეები, მფლობელები მზად არიან განახორციელონ დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა.

## 30 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის თებერვლის თვეში, შპს „ფორმულა“-ს მიერ მიღებული გრძელვადიანი სესხები 20,021,984 ლარის ოდენობით, გადაეცა 2024 საანგარიშგებო წლის განმავლობაში არსებულ, კომპანიის ერთ-ერთ მესაკუთრეს, დავით კეზერაშვილს (პ/ნ 01015000210).

2025 წლის მარტში ცვლილება მოხდა კომპანიის მესაკუთრეებში და პროცენტული წილების გადანაწილებაში. შესაბამისად კომპანიის მესაკუთრეები და მათი წილები ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმით:

| მესაკუთრე | პროცენტული წილი |
|---|---|
| მიხეილ მშვილდაძე, 01027007834 | 38.25% |
| ირაკლი საღინაძე, 01010009580 | 2.25% |
| ზურაბ გუმბარიძე, 01024037522 | 32.25% |
| გიორგი ლიფონავა, 01010000641 | 2.25% |
| არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისუფლების ფორმულა, 402279985 | 25.00% |

2025 წლის ივნისის თვეში შეიცვალა კომპანიის დირექტორი. ზურაბ გუმბარიძეს (პ/ნ 01024037522) ნაცვლად ერთპიროვნული დირექტორი გახდა მიხეილ მშვილდაძე (პ/ნ 01027007834).

## 31 ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 31 დეკემბრის 2024 წლის ბოლოსთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 22 ივლისს.

დირექტორი:

## 30 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის თებერვლის თვეში, შპს „ფორმულა“-ს მიერ მიღებული გრძელვადიანი სესხები 20,021,984 ლარის ოდენობით, გადაეცა 2024 საანგარიშგებო წლის განმავლობაში არსებულ, კომპანიის ერთ-ერთ მესაკუთრეს, დავით კეზერაშვილს (პ/ნ 01015000210).

2025 წლის მარტში ცვლილება მოხდა კომპანიის მესაკუთრეებში და პროცენტული წილების გადანაწილებაში. შესაბამისად კომპანიის მესაკუთრეები და მათი წილები ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმით:

| მესაკუთრე | პროცენტული წილი |
|---|---|
| მიხეილ მშვილდაძე, 01027007834 | 38.25% |
| ირაკლი საღინაძე, 01010009580 | 2.25% |
| ზურაბ გუმბარიძე, 01024037522 | 32.25% |
| გიორგი ლიფონავა, 01010000641 | 2.25% |
| არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისუფლების ფორმულა, 402279985 | 25.00% |

2025 წლის ივნისის თვეში შეიცვალა კომპანიის დირექტორი. ზურაბ გუმბარიძეს (პ/ნ 01024037522) ნაცვლად ერთპიროვნული დირექტორი გახდა მიხეილ მშვილდაძე (პ/ნ 01027007834).

## 31 ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 31 დეკემბრის 2024 წლის ბოლოსთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 22 ივლისს.

დირექტორი:

შპს ფორმულა * FORMULA LLC * 405345666 *

**შპს „ფორმულა“-ს მმართველობითი ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

## 1. კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია დაფუძნდა 2019 წლის 22 ივლისს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც შექმნილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო”-ს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405345666.

კომპანიის მფლობელობის სტრუქტურა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

| დასახელება | წილი |
|---|---|
| ააიპ თავისუფლების ფორმულა 402279985 | 25% |
| დავით კეზერაშვილი 01015000210 | 26% |
| მიხეილ მშვილდაძე 01027007834 | 12.25% |
| ირაკლი საღინაძე 01010009580 | 12.25% |
| ზურაბ გუმბარიძე 01024037522 | 12.25% |
| გიორგი ლიფონავა 01010000641 | 12.25% |

კომპანიამ მოიპოვა მაუწყებლობის ავტორიზაცია #RB-5067 2019 წლის 29 აგვისტოს, რის საფუძველზეც ფუნქციონირებს საქართველოში ტელესამაუწყებლო სფეროში. კომპანიამ საცდელ რეჟიმში დაიწყო მაუწყებლობა 2019 წლის 1 ოქტომბერს, ხოლო 2020 წლის 9 მარტიდან გადავიდა ჩვეულ მაუწყებლობის რეჟიმში.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, გასართობი, იუმორისტული, მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, ინტელექტუალური, დოკუმენტური და სხვა ტიპისა და სარედაქციო დასაბუთების გადაცემების მომზადებას და სატელევიზიო ეთერით გადაცემას.

კომპანია რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N45. კომპანია საქმიანობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N45, ბიზნესცენტრი დელისის შენობა.

## 2. განვითარების გეგმები

ტელეკომპანია „ფორმულა“ (შემდგომში „კომპანია“) ხუთ წელიწადნახევარია ფუნქციონირებს. პირველ ეტაპზე მისი განვითარების მთავარი კომპონენტი ტექნიკური გამართულობა და სტაბილურობაა, შემდგომი კომპნონენტი კი, კონკურენტულ გარემოში მისი პოზიციონირება.

დღემდე კომპანიამ მოახერხა შეექმნა საკუთარი აუდიტორია, შემდგომი გეგმები კი ამ აუდიტორიის გაფართოებას უკავშირდება. ამის მისაღწევად კი კომპანია საკუთარ ეთერში სხვადასხვა პროფილის ახალი საინფორმაციო გადაცემების დაწყებას და არსებულების განახლებას გეგმავს.

ტელეკომპანია „ფორმულას" მაუწყებლობის დაწყება ძალიან პოლარიზებულ გარემოში მოუწია, შესაბამისად მისი ერთ-ერთი გამოწვევა ადამიანური რესურსების მართვაა. კონკურეტულ გარემოში „ფორმულა" ცდილობს შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და მოიზიდოს, როგორც ახალგაზრდა, ასევე გამოცდილი კადრები.

კომპანიის მიზანი არის არსებული რეიტინგის გაუმჯობესება და ახლო მომავალში ლიდერის პოზიციის დაკავება.

## 3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები

## 4. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ მონაწილეობდა სამეცნიერო-კვლევით (R&D) საქმიანობაში.

## 5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 4,358,903 ლარი, ხოლო მთლიანმა საოპერაციო ხარჯებმა 24,051,091 ლარი. შემოსავალმა კურსთაშორის სხვაობიდან მონეტარულ აქტივებზე და ვალდებულებებზე შეადგინა 1,935,127 ლარი, ხოლო საპროცენტო ხარჯებმა 6,702,534 ლარი. შესაბამისად პერიოდის ზარალმა შეადგინა 28,818,498 ლარი. 4,358,903 ლარი ამონაგებიდან უმეტესი ნაწილი, 4,336,250 ლარი წარმოადგენს სარეკლამო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს.
2024 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებული იყო 328 თანამშრომელი.

## 6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები

## 7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის ფუნქციონირებაზე გავლენა შეიძლება იქონიოს შემდეგმა რისკ ფაქტორებმა:

- საკანონმდებლო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- სავალუტო რისკი;
- საბაზრო რისკი;

<u>საკანონმდებლო რისკები</u>

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ტელეკომპანია ,,ფორმულა''-ს საქმიანობა ექვემდებარება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროს, მის მიერ გამოცემული დადგენილებები და განკარგულებები, ისევე

როგორც მიღებული გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირებისათვის. საკანონმდებლო რისკს წარმოადგენს მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების ისეთი ცვლილებების მიღება, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს კომპანიის საქმიანობა, შესაბამისად, შპს ,,ფორმულა'' სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, თვალყურს ადევნებს მაუწყებლობის სფეროში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ ყველა აქტს, გადაწყვეტილებას, დადგენილებასა თუ რეკომენდაციას და იცავს მას. ,,ფორმულა'' კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ავსებს მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილ აქტებს და წარუდგენს მარეგულირებელ კომისიას დადგენილი ელექტრონული ფორმების საშუალებით.

<u>პოლიტიკური რისკები</u>

არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე და მის შემოსავლებზე. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს პოლიტიკური რისკების შეფასებას და სახავს შესაბამის მოქმედების გეგმებს ამ რისკების ზეგავლენის სამართავად.

<u>სავალუტო რისკი</u>

სავალუტო რისკი არის რისკი, რომლის ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში და შესაბამისად მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

<u>საბაზრო რისკი</u>

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, რაც ჩნდება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში და საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში. ყველა ეს ფაქტორები დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

შპს ფორმულა * FORMULA LLC * 405345666

თარიღი: 22 ივნისი 2025 წელი